SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

RUXOLITINIB - JAKAVI®

რა არის JAKAVI

მოლეკულის აღწერა	აღწერა
რუქსოლიტინიბი	5 მგ-იანი აბი: თეთრი, მრგვალი 10 მგ-იანი აბი: თეთრი, მრგვალი 15 მგ-იანი აბი: თეთრი, ოვალური 20 მგ-იანი აბი: თეთრი, მოგრძო

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ ..... მგ-იანი 1ტაბლეტი, 2-ჯერ დღეში, ყოველდღე.

ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე.

მიიღეთ ფიქსირებულ დროს კვებისას, კვებამდე ან კვების შემდეგ.

დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

2-ჯერ დღეში, ფიქსირებულ დროს, საკვებთან ან მის გარეშე			
უწყვეტლივ			

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო მოითხოვს. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განაახლებინეთ რეცეპტი წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამარფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის ანალიზის აღება, როემლიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციას და ქოლესტერინის დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

JAKAVI®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები,

პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის მოხმარებას JAKAVI®-სთან ერთად.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**ზოგადი დარღვევები**: დაბნეულობა და თავბრუსხვევა **ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები**: თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია), ჰემოგლობინის დაქვეითება (ანემია), და/ან ნეიტროფილური პოლინუკლეარების შემცირება (ნეიტროპენია), ღვიძლის ფუნქციური ანალიზის დარღვევა და ქოლესტერინის დონის მატება. **ინფექციები**: მათ შორის საშარდე გზების ინფექციები **ტკივილები**: თავის ტკივილები **არტერიული ჰიპერტენსია** **სხვა: სისხლდენა**(ჰემატომები, ცხვირიდან და ღრძილებიდან სისხლდენა), წონაში მომატება, შეკრულობა
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	B ჰეპატიტისა მატარებელი პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **ჰემორაგიის მაჩვენებელი სიმპტომები** სისხლი განავალში ან ღებინების შემთხვევაში ჰემატომები(ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა **ტკივილები, რომელიც ხელს გიშლით ჩვეულ აქტივობებში** თავის ტკივილები **ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
წონა	რეგულარულად **გაიკონტროლეთ** წონა
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. **არტერიული წნევის** რეგულარული გაზომვა **რეკომენდირებულია**. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენთვითონ გაიზომოთ ავტო გამზომით.
სისხლდენა	**მოერიდეთ** ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებას(იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) **გააფრთხილეთ** თქვენი ექიმი: თუ მოიხმართ ანტიკოაგულანტებს და თრომბოციტურ ანტიაგრეგანტებს: აუცილებელია განსაკუთრებული მეთვალყურეობა ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევისას
დაღლილობა/შეკრულობა	**ამჯობინეთ** ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. **ჩაანაცვლეთ** აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
წონაში მომატება	**მიიღეთ** დიდი რაოდენობით წყალი და **მოერიდეთ** შაქრიან სასმელებს. **უპირატესობა** მიანიჭეთ მრავალფეროვან საკვებს: უფრო მეტი

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com

	ხილ-ბოსტნეული, ნაკლებაც ცხიმოვანი ხორცი(ფრინველი კანის გარეშე, კურდღელი). **გაითვალისწინეთ** ნახემსება, რომ მოერიდოთ ჭამას სამ დღიურ კვებას შორის. **მოერიდეთ** ძეხვეულს, ფუნთუშეულსა და სხვადასხვა ტკბილეულს, შემწვარ საკვებსა და ცხიმიან თუ შაქრიან სამრეწველო პროდუქტებს.
შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის ბოჭკოიან საკვებს. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com